მაკა დევდარიანი თამთა ზოშიაშვილი თამარ კვირკველია

მათემატიკა

ნაწილი I

4 კლასისთვის

ეროვნული სასწავლო გეგმის I ნაწილი

ქიმც

საქართველოს სახელმწიფო ჰიმნი

ჩემი ხატია სამშობლო,
სახატე მთელი ქვეყანა,
განათებული მთა-ბარი,
წილნაყარია ღმერთთანა.
თავისუფლება დღეს ჩვენი
მომავალს უმღერს დიდებას,
ცისკრის ვარსკვლავი ამოდის
ამოდის და ორ ზღვას შუა ბრწყინდება,
დიდება თავისუფლებას,
თავისუფლებას დიდება!

დავით მაღრაძე

მაკა დევდარიანი თამთა შოშიაშვილი თამარ კვირკველია

მათემატიკა

IV კლასი

მოსწავლის წიგნი

ნაწილი I

რედაქტორი იაგო ხაჭვანი

გამომცემლობა “აიმც“

2018 წელი

მათემატიკა
IV კლასი მოსწავლის წიგნი
ნაწილი I

მაკა დევდარიანი
თამთა შოშიაშვილი
თამარ კვირკველია

რედაქტორი: იაგო ხაჭვანი
ყდის დიზაინი: ომარი გობეჯიშვილი, ნინო რევია
მხატვარ-ილუსტრატორი: ნინო რევია, ომარი გობეჯიშვილი
დამკაბადონებელი: მაკრინე ანთაძე

შპს „აბიტურიენტთა ინტენსიური მომზადების ცენტრი“

მისამართი: თბილისი, ს. ჩიქოვანის 2/14
ტელ.: 595 725 000
ელ-ფოსტა: info@center.ge
www.center.ge

ISBN

გამომცემლობა „აიმც“

2018 წელი

სარჩევი

თავი 1

თავი 1. გამეორება
§1.1. ერთიდან ათასამდე რიცხვები. რიცხვების შედარება 7
§1.2. ნატურალური რიცხვების შეკრება და გამოკლება.
რიცხვების დამრგვალება. 10
§1.3. ნატურალური რიცხვების გამრავლება და გაყოფა 14
ტესტი 17

თავი 2

თავი 2. ნატურალური რიცხვები მილიონამდე 20
§2.1. ათასზე მეტი რიცხვების წაკითხვა და ჩაწერა 21
§2.2. მრავალნიშნა რიცხვების შედარება 26
§2.3. მრავალნიშნა რიცხვების დამრგვალება 30
§2.4. გამეორება 34
ტესტი 37

თავი 3

თავი 3. საზომი ერთეულები. გეომეტრია 39
§3.1. მასა. მასის საზომი ერთეულები 40
§3.2. სიგრძის საზომი ერთეულები 43
§3.3. ტეხილი. ტეხილის სიგრძე 47
§3.4. პრიზმა. კონუსი. ცილინდრი 51
§3.5. გამეორება 55
ტესტი 57

თავი 4

თავი 4. ნატურალური რიცხვების შეკრება-გამოკლება 58
§4.1. შეკრებისა და გამოკლების თვისებები 59

§4.2. მრავალნიშნა რიცხვების შეკრება 61
§4.3. მრავალნიშნა რიცხვების გამოკლება 65
§4.4. გამეორება 68
ტესტი 71
§4.5. ჯამისა და სხვაობის შეფასება დამრგვალებით 72
§4.6. შეკრებისა და სხვაობის უცნობი კომპონენტის პოვნა 74
§4.7. ჯამისა და სხვაობის ცვლილება 77
§4.8. გამეორება 81
ტესტი 83

- ეს წიგნი სხვა მოსწავლეებსაც უნდა გამოადგეს. მოუფრთხილდით მას, ნუ გააკეთებთ წიგნში ჩანაწერებსა და აღნიშვნებს, ამისთვის რვეული გამოიყენეთ!
- ტესტური დავალების ყველა პასუხი ჩაწერეთ რვეულში!

ეს აღნიშვნა კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, რომ წიგნში ჩანაწერები და აღნიშვნები არ უნდა გამოიყენოთ. სავარჯიშოები შეასრულეთ რვეულში.

ამ სავარჯიშოს შესრულებისთვის გამოიყენეთ კომპიუტერი!

ტყე საცხოვრებელ კორპუსში

იტალიის ქალაქ მილანში, ცენტრალურ უბანში, აშენდა ორი ცათამბჯენი. ერთი უფრო მაღალი, მეორე კი შედარებით დაბალი. მაღალი კორპუსი 26 – სართულიანია და მისი სიმაღლე 111 მეტრია. მეორე კორპუსი 18 – სართულიანია და მისი სიმაღლე 76 მეტრია. გასაოცარი კი ის არის, რომ ორივე შენობაზე ნამდვილი ტყეა გაშენებული. მაღალ კორპუსზე 550 ხეა, ხოლო დაბალზე – 350. ორივეზე ერთად 1 000-ზე მეტი ბუჩქი და კიდევ უფრო მეტი ყვავილი ხარობს. ამ ცათამბჯენებს ვერტიკალურ ტყეს უწოდებენ.

იქაური მცხოვრებლები ტყის წყალობით სუფთა ჰაერით სუნთქავენ და დაცულები არიან ქალაქის ხმაურისა და მტვრისაგან. ტყეში უკვე დაიბუდეს ჩიტებმა, რომლებიც სასიამოვნო გალობით ატკბობენ არემარეს.

რას ნიშნავს ვერტიკალური ტყე?

ტექსტის მიხედვით შეავსეთ ცხრილი:

	სართულების რაოდენობა	სიმაღლე	ხეების რაოდენობა
პირველი კორპუსი			
მეორე კორპუსი			

რამდენი სართულით მეტია პირველი კორპუსი მეორესთან შედარებით?

რამდენი მეტრით დაბალია მეორე კორპუსი პირველზე?

სულ რამდენი ხეა ორივე კორპუსში ერთად?

თუ თითო სართულზე ერთი ჩიტი ბინადრობს, რამდენი ჩიტი იქნება ორივე კორპუსში ერთად?

რამდენი ხით მეტია პირველ კორპუსში მეორესთან შედარებით?

იპოვეთ რუკაზე იტალია.

1 თავი 1. გამეორება
§1.1. ერთიდან ათასამდე რიცხვები

1. ნინი და გიორგი სათამაშო კუბიკებით „რიცხვობანას“ თამაშობდნენ. რა რიცხვები გამოსახეს კუბიკებით ბავშვებმა? უპასუხეთ სურათების მიხედვით.





2. მოცემულია რიცხვები: 76, 136, 360, 618, 66, 616, 662. რამდენი რიცხვია ისეთი, რომლის ერთეულების თანრიგში დგას ციფრი 6?

ა) 7
ბ) 5
გ) 4
დ) 3

3. დაწერეთ და წაიკითხეთ რიცხვები, რომლებიც შეიცავს:

1. 5 ასეულს, 7 ათეულს, 4 ერთეულს.
2. 7 ასეულს, 4 ათეულს, 6 ერთეულს.
3. 8 ასეულს, 9 ათეულს.
4. 3 ასეულს, 2 ერთეულს.

4. რა რიცხვია წარმოდგენილი ჯამის სახით?

600 + 20 + 3	300 + 40 + 1
900 + 70 + 9	400 + 60 + 7
600 + 40 +7	200 + 50

5. წაიკითხეთ რიცხვები: 675, 618, 917, 514.
რამდენი ასეული, ათეული და ერთეულია ამ რიცხვებში?

ნიმუში: 328 – სამას ოცდარვა – 3 ასეული, 2 ათეული, 8 ერთეული

6. დაასახელეთ მოცემული რიცხვების წინა და მომდევნო რიცხვები:

789 325 207 356

7. მოცემულია რიცხვთა წყვილები. დაასახელეთ რიცხვები, რომლებიც მათ შორისაა მოთავსებული.

788 და 795 476 და 483
198 და 202 967 და 972

8. წარმოადგინეთ სათანრიგო შესაკრებთა ჯამის სახით რიცხვები:

127 538 655 719

9. წარმოადგინეთ სათანრიგო შესაკრებთა ჯამის სახით რიცხვები:

420 806 590 907

10. რას აღნიშნავს 845-ში ციფრი 8? ციფრი 4? ციფრი 5?

11. გადახაზეთ ცხრილი რვეულში და შეავსეთ

	რიცხვი	ასეული	ათეული	ერთეული
500+70	570	5	7	0
200+40+5				
	379			
		1	0	9

12. დაალაგეთ რიცხვები

1 კლების მიხედვით: 438, 597, 200, 218.

ა) 597, 438, 218, 200
ბ) 438, 597, 218, 200
გ) 200, 438, 218, 597
დ) 200, 218, 438, 597

2 ზრდის მიხედვით: 312, 132, 321, 231.

ა) 312, 132, 321, 231
ბ) 132, 321, 312, 231
გ) 321, 231, 312, 132
დ) 132, 231, 312, 321

13. ციფრებით 5, 7 და 4 შეადგინეთ ყველა შესაძლო სამნიშნა რიცხვი ისე, რომ ციფრები არ გაიმეოროთ. დაალაგეთ ეს რიცხვები ზრდის მიხედვით.

14. შეადარეთ < > =

347 ◯ 89 530 ◯ 529 563 ◯ 560
788 ◯ 688 523 ◯ 608 323 ◯ 313
952 ◯ 952 522 ◯ 622 420 ◯ 602

15. მოცემული ექვსი ციფრიდან გადახაზეთ სამი ციფრი ისე, რომ დარჩენილი სამნიშნა რიცხვი იყოს

1. რაც შეიძლება მცირე: 3 2 6 2 9 7
2. რაც შეიძლება დიდი: 4 0 8 7 5 3

16. იპოვეთ მომდევნო ორი რიცხვი:

1. 503, 506, 509, ■, ■.
2. 712, 723, 734, ■, ■.

17. რამდენი გოგონა და რამდენი ბიჭი დგას მწკრივში, თუ სულ არიან შვიდნი და ყოველი გოგონა დგას ორ ბიჭს შორის.

18. დააკვირდით პიქტოგრამას და უპასუხეთ კითხვებს:



● = 3 ფიგურა

1. რამდენი სამკუთხედია?
2. რამდენით მეტია მართკუთხედი კვადრატზე?
3. სულ რამდენი გეომეტრიული ფიგურაა?

19. ზურა, ნიკა და გიორგი სროლაში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. ზურამ დააგროვა 127 ქულა, ნიკამ – 137 ქულა, გიორგიმ – 129 ქულა. რა თანმიმდევრობით დაიკავეს მათ ადგილები ამ შეჯიბრებაში?

§1.2. ნატურალური რიცხვების შეკრება და გამოკლება. რიცხვების დამრგვალება.

დედამიწის დღე – ეს არის ყოველწლიური ღონისძიება, რომელიც 22 აპრილს აღინიშნება. ამ დღეს მსოფლიოს გარშემო იმართება გარემოს დაცვის მხარდამჭერი ღონისძიებები.

1. დაჩიმ და მისმა მეგობრებმა დედამიწის დღესთან დაკავშირებით 218 ხე დარგეს და დასარგავი დარჩათ 302. სულ რამდენი ხე ჰქონდათ დასარგავი დაჩისა და მის მეგობრებს?

2. გამოთვალეთ ზეპირად:

421 – 121	650 – 500	410 – 110
580 + 120	270 + 430	360 + 340

3. მოცემულია ტოლობა: ▢ – 437 = 240
რა რიცხვი უნდა ეწეროს ცარიელ უჯრაში?
ა) 677
ბ) 203
გ) 197
დ) 193

4. გამოთვალეთ ქვეშმიწერით:

$$-\begin{array}{r}962\\642\\\hline\end{array} \qquad +\begin{array}{r}589\\27\\\hline\end{array} \qquad +\begin{array}{r}589\\411\\\hline\end{array} \qquad -\begin{array}{r}648\\426\\\hline\end{array}$$

5. მაღაზიაში მიიღეს 260 კგ ატამი, 175 კგ ქლიავი და 135 კგ-ით მეტი მსხალი, ვიდრე ქლიავი.

1. რამდენი კილოგრამი მსხალი მიიღეს მაღაზიაში?
2. რამდენი კილოგრამით მეტი მსხალი მიიღეს მაღაზიაში, ვიდრე ატამი?
3. სულ რამდენი კილოგრამი ხილი მიიღეს მაღაზიაში?

6. ორი პუნქტიდან, რომელთა შორის მანძილი 600 მეტრია, ერთმანეთის შესახვედრად გამოვიდა ორი ბიჭი. რა მანძილი იქნება მათ შორის, როცა ერთი ბიჭი გაივლის 230 მეტრს, ხოლო მეორე – 109 მეტრს?



7. მართამ სამი დღის განმავლობაში 260 კგ ხილი დაკრიფა. პირველ ორ დღეს მან 200 კგ ხილი დაკრიფა. რამდენი კილოგრამი ხილი დაკრიფა მართამ მესამე დღეს?

8. მაღაზიაში 394 კგ კიტრი და 385 კგ პომიდორი მიიღეს. რომელი ბოსტნეული მიიღეს მეტი და რამდენით?

9. სასტუმროში 356 დამსვენებელი განათავსეს. ერთ კვირაში 47-მა დატოვა სასტუმრო და 29 ახალი დამსვენებელი მოვიდა. რამდენი დამსვენებელია ახლა სასტუმროში?

10. მოასწრო თუ არა სანდრომ 238 გვერდიანი წიგნის წაკითხვა სამ დღეში, თუ პირველ დღეს მან წაიკითხა 46 გვერდი, მეორე დღეს წაიკითხა 55 გვერდით მეტი, ვიდრე პირველ დღეს, მესამე დღეს კი 20 გვერდით ნაკლები, ვიდრე მეორე დღეს.

11. ფეხბურთის სტადიონზე 2 167 გულშემატკივარი მივიდა. მამაკაცების რაოდენობა 459-ით აღემატებოდა ქალების რაოდენობას.

1. რამდენი მამაკაცია სტადიონზე საგულშემატკივროდ მისული?
2. სულ რამდენი ქალი და მამაკაცი მივიდა სტადიონზე?

12. ციფრებით 5, 7 და 4 ისე, რომ ციფრები არ გაიმეოროთ, შეადგინეთ:

1. უდიდესი სამნიშნა რიცხვი;
2. უმცირესი სამნიშნა რიცხვი;
3. იპოვეთ მიღებული რიცხვების ჯამი;
4. იპოვეთ მიღებული რიცხვების სხვაობა.

13. სანდრო, ელენე და სოფო, სამივე ერთად 95 კგ-ს იწონის. სანდრო და ელენე – 57 კგ-ს, ხოლო სანდრო და სოფო – 63 კგ-ს. რამდენ კილოგრამს იწონის თითოეული ცალ-ცალკე?

14. 100 წარმოადგინეთ:

1. 2 ტოლი შესაკრების სახით;
2. 10 ტოლი შესაკრების სახით.



15. 40 წარმოადგინეთ:

1. 4 ტოლი შესაკრების სახით;
2. 5 ტოლი შესაკრების სახით.

16. დაასახელეთ:

1. 856-ის უახლოესი ათეული
2. 663-ის უახლოესი ასეული.

17. იპოვეთ ყველა ის ორნიშნა რიცხვი, რომლის ათეულების რიცხვი 6-ით მეტია ერთეულების რიცხვზე.

18. დაამრგვალეთ:

1. ათეულებამდე: 51, 789, 387, 256.
2. ასეულებამდე: 542, 797, 261, 435.

19. დაამრგვალეთ უმაღლეს თანრიგამდე რიცხვები და დაალაგეთ კლების მიხედვით: 752, 601, 708, 273, 126.

20. რომელი გამოსახულების მნიშვნელობაა მეტი

$(\square + \square) \cdot 237$ თუ $(\square + \square) \cdot 0$?

21. ნიკამ დაფაზე ორნიშნა რიცხვი დაწერა. ნატომ ამ რიცხვს მარცხნიდან მიუწერა ციფრი 3. რამდენით მეტია მიღებული რიცხვი თავდაპირველ რიცხვზე?

22. დააკვირდით მიმდევრობას

შექმენით მსგავსი მიმდევრობა რიცხვების 7-ის და 2-ის გამოყენებით.

23. ცხრილში წარმოდგენილია მონაცემები მაღაზიაში გაყიდული ხილის შესახებ.

ხილი	გაყიდული ხილის რაოდენობა
ვაშლი	40 კგ
ატამი	20 კგ
მსხალი	35 კგ
ფორთოხალი	13 კგ

1. რომელი ხილი გაიყიდა უფრო მეტი?
2. რამდენი კილოგრამით მეტი გაიყიდა მსხალი, ვიდრე ფორთოხალი?
3. რამდენი კილოგრამით მეტი ვაშლი გაიყიდა, ვიდრე ატამი და ფორთოხალი ერთად?
4. რამდენი კილოგრამი ხილი გაიყიდა სულ?

24.



1. რამდენი წახნაგი აქვს მართკუთხა პარალელეპიპედს?
2. დაასახელეთ A წვეროდან გამოსული წიბოები.
3. დაასახელეთ B წვეროდან ყველაზე შორს მყოფი წვერო.

25. სოსომ დახატა მუხა და პალმა. ლელამ სოსოს დახატული ხეების სიმაღლე გაზომა სახაზავით. რამდენი სანტიმეტრით მაღალია პალმა მუხაზე?



§1.3. ნატურალური რიცხვების გამრავლება და გაყოფა

1. მოცემულია ჯამი: 40 + 40 + 40 + 40 + 40.
ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელია ამ ჯამის სხვაგვარი ჩანაწერი?

ა) 5 · 40
ბ) 5 + 40
გ) 40 · 40
დ) 40 : 5

2. ერთ თაროზე იყო 24 წიგნი, მეორეზე 3-ჯერ ნაკლები. რამდენი წიგნი იყო მეორე თაროზე?

3. მაკამ 23 გაამრავლა 18-ზე და მიღებული რიცხვი გაყო ისევ 18-ზე. რა პასუხი მიიღო მაკამ?

ა) 23
ბ) 18
გ) 5
დ) 414

4.  ლიზიმ 12 პეპელა დახატა, რაც კატოს მიერ დახატულ პეპლებზე 3-ჯერ მეტია. რამდენი პეპელა დაუხატავს კატოს?

5. რას უდრის განაყოფი თუ გასაყოფი 72-ის ტოლია, ხოლო გამყოფი 8-ის?

6. დახაზეთ სამკუთხედი, რომლის ერთი გვერდი 4 სმ-ია, მეორე გვერდი 2-ჯერ მეტია პირველზე და მესამე გვერდი 3 სმ-ით ნაკლებია მეორე გვერდზე.

7. ერთი ცალი პომიდვრის წონა 40 გრამია, ეს 2-ჯერ ნაკლებია კიტრის წონაზე. ჭარხლის წონა 2-ჯერ მეტია კიტრის წონაზე. რამდენ გრამს იწონის ჭარხალი?



8. შეადარეთ (<) (>) (=)

1 · 946 ◯ 946	0 : 476 ◯ 476	0 · 12 ◯ 0
369 · 0 ◯ 369	815 : 815 ◯ 815	0 : 640 ◯ 0

9. 40 მ ქსოვილისგან ლალი დეიდამ 8 კაბა შეკერა მოცეკვავეებისთვის. რამდენი მეტრი ქსოვილი დასჭირდება ლალი დეიდას კიდევ 20 კაბის შესაკერად? გაითვალისწინეთ, რომ თითოეული კაბის შესაკერად საჭიროა ტოლი სიგრძის ქსოვილი.

10. წიგნში 128 გვერდია. ნინიკო ამ წიგნს სამი დღის განმავლობაში კითხულობდა, დღეში 40 გვერდს. რამდენი გვერდი დარჩა ნინიკოს წასაკითხი?

11. სათამაშოების მაღაზიაში ახალი სათამაშოები მიიღეს: ძაღლები, ლომები და ციყვები. მათგან 60 ცალი ძაღლი იყო, ლომი – 2-ჯერ ნაკლები. ციყვი 15 ცალით მეტი იყო, ვიდრე ლომი. სულ რამდენი სათამაშო მიუღიათ მაღაზიაში?



12. რა რიცხვი უნდა ეწეროს ▢-ის ნაცვლად?

72 : ▢ = 9	512 – ▢ = 88	▢ – 122 = 122
▢ · 8 = 56	▢ – 300 = 570	345 + ▢ = 345

13. დახაზეთ ორი მონაკვეთი ისე, რომ ერთი ორჯერ გრძელი იყოს მეორეზე. რას უდრის მეორე მონაკვეთის სიგრძე, თუ პირველი მონაკვეთის სიგრძე 8 სმ-ია?

14. ტურისტებმა მანქანით 40 კილომეტრი გაიარეს, შემდეგ ცხენებით განაგრძეს გზა მთებისკენ და დღეში გადიოდნენ 15 კმ-ს. რამდენი დღე მიდიოდნენ ტურისტები ცხენებით, თუ სულ გაიარეს 70 კმ?

15. ერთი სკიდან ამოიღეს 15 კგ თაფლი, მეორედან – 12 კგ. ეს თაფლი მთლიანად ჩაასხეს ერთნაირ ქილებში, თითოეულში – 3 კგ. სულ რამდენი ქილა გამოიყენეს?

16. შეადარეთ < > =

1 მ ◯ 40 სმ	25 მმ ◯ 2 სმ	3 დმ ◯ 30 სმ
12 სმ ◯ 1 დმ	5 სმ ◯ 27 მმ	2 მ ◯ 108 სმ
23 მ ◯ 6 სმ	17 დმ ◯ 3 მ	43 სმ ◯ 50 მმ

17. დააკვირდით სურათს. გადაიწერეთ წინადადებები რვეულში და შეავსეთ გამოტოვებული ადგილები სურათის მიხედვით.



1. მწვანე ფანქრის სიგრძეა ———— სანტიმეტრი.
2. ყველაზე გრძელი ფანქარი ———— სანტიმეტრით დიდია ყველაზე მოკლე ფანქარზე.

18. დაწერეთ გამოსახულება და იპოვეთ მისი მნიშვნელობა:

1. 26-ისა და 60-ის ჯამი შეამცირეთ 70-ით.
2. 86-ისა და 41-ის სხვაობა გაადიდეთ 50-ით.
3. 14-ისა და 8-ის სხვაობა გაადიდეთ 2-ჯერ.
4. 28-ისა და 12-ის ჯამი შეამცირეთ 10-ჯერ.

19. შეასრულეთ მოქმედებები.

$$\begin{array}{r} 677 \\ +\ 319 \\ \hline \end{array} \qquad \begin{array}{r} 525 \\ +\ 525 \\ \hline \end{array} \qquad \begin{array}{r} 368 \\ -\ 104 \\ \hline \end{array} \qquad \begin{array}{r} 843 \\ -\ 729 \\ \hline \end{array}$$

20. რამდენი სამკუთხედია სურათზე?



ტესტი

1. მოცემულია ორი რიცხვი, რომელთა თითო ციფრი დაფარულია ფიფქებით:

პირველი რიცხვი – ✽24 მეორე რიცხვი – ✽97

რომელი რიცხვია უფრო მცირე?

ა) პირველი რიცხვი
ბ) მეორე რიცხვი
გ) ეს რიცხვები ტოლია
დ) ამ რიცხვების შედარება შეუძლებელია

2. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელია 756-ის უახლოესი ათეულის უახლოესი ასეული?

ა) 700
ბ) 750
გ) 760
დ) 800

3. რამდენით შეიცვლება რიცხვი 258, თუ მის ჩანაწერში ციფრი 2-ის ნაცვლად ჩავწერთ ციფრს 6-ს?

4. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი გამოსახულება შეესაბამება 4 • 8 + 8 გამოსახულებას?

ა) 8 + 8 + 8 + 8 + 8
ბ) 8 + 8 + 8 + 8
გ) 4 + 4 + 4 + 4 + 8
დ) 16 + 16 + 16 + 16

5. ნატომ 35 ყვავილი 5 ლარნაკში ჩააწყო. თითოეულ ლარნაკში ყვავილების ტოლი რაოდენობაა. რამდენი ყვავილია ერთ ლარნაკში?

6. შეასრულეთ გამოკლება: 789 – 356 =

ა) 334
ბ) 343
გ) 403
დ) 433

7. 5 ასეულისა და 12 ათეულის ჯამია

ა) 620
ბ) 512
გ) 170
დ) 125

8. ერთი მონაკვეთის სიგრძე 24 სმ-ია, მეორისა – 8 სმ.

1 რამდენი სანტიმეტრით გრძელია პირველი მონაკვეთი მეორეზე?
2 რამდენჯერ მოკლეა მეორე მონაკვეთი პირველზე?

9. რა მიმართულების ისარი უნდა შევარჩიოთ მომდევნო ფიგურად?

ა) →
ბ) ↓
გ) ←
დ) ↑

10. რა რიცხვი უნდა ეწეროს ცარიელ უჯრაში?

□ : 7 = 10

ა) 19
ბ) 70
გ) 5
დ) 84

11. ნიკოს სოფელში 50 დედალი და 2-ჯერ მეტი წიწილა ჰყავს. სულ რამდენი წიწილა და დედალი ჰყავს ნიკოს?



12. ჭადრაკის წრეში 7 მოსწავლეა გაერთიანებული, შაშის წრეში – 3-ჯერ მეტი, ხოლო ცურვის წრეში – 2-ით მეტი, ვიდრე შაშის წრეში. რამდენი მოსწავლეა გაერთიანებული ცურვის წრეში?

13. დახაზეთ კვადრატი, რომლის გვერდის სიგრძე 8 სმ-ია. ეს კვადრატი მონაკვეთით გაყავით ისე, რომ მიიღოთ ორი ტოლი მართკუთხედი. იპოვეთ მიღებული მართკუთხედის გვერდების სიგრძეთა ჯამი.

14. ერთი ბურთი ღირს 20 ლარი. გიამ იყიდა 4 ბურთი და დარჩა 36 ლარი. რა თანხა ჰქონდა გიას თავდაპირველად?

15. ცხრილში მოცემულია რა დრო სჭირდებათ მეგობრებს სახლიდან სკოლამდე მისასვლელად.

სახელი	მაია	თენგო	ნიკა	ლია	ნატო
დრო (წთ)	23	34	45	39	15

რამდენი გოგონა ანდომებს 25 წუთზე ნაკლებს სახლიდან სკოლამდე მისვლას?

ა) 2
ბ) 3
გ) 1
დ) 4

16. შეავსეთ რიცხვები 800-მდე.

800	300	400	550	680	710

17. უპასუხეთ კითხვებს:

1. რამდენი წვერო აქვს მართკუთხა პარალელეპიპედს?
2. რამდენი წახნაგი აქვს მართკუთხა პარალელეპიპედს?
3. რამდენი წიბო აქვს კუბს?
4. რამდენი წახნაგი აქვს კუბს?

18. რიცხვი 30 გაზარდე 2-ჯერ. რამდენით გაიზარდა 30?

19. ერთი სათლის ტევადობა 12 ლ-ია, ერთი ქილის კი – 3ლ. რამდენი ლიტრით მეტი წყალი ეტევა 7 ქილაში, ვიდრე სათლში?

ა) 12 ლ-ით
ბ) 21 ლ-ით
გ) 9 ლ-ით
დ) 10 ლ-ით

2 თავი 2. ნატურალური რიცხვები მილიონამდე

სადიაგნოსტიკო ტესტი

1. რა რიცხვის მოდელია ნახაზზე წარმოდგენილი?



2. რომელ რიცხვშია 4 ასეული და კიდევ 13 ათეული?

ა) 413 ბ) 503 გ) 530 დ) 443

3. რომელია **შვიდას სამოცის** ციფრული ჩანაწერი?

ა) 706 ბ) 760 გ) 76 დ) 720

4. დაწერეთ ხაზგასმული ციფრის მნიშვნელობა: 927

5. 984 ჩაწერეთ სათანრიგო შესაკრებების ჯამის სახით.

6. მოცემულია რიცხვები: 765, 675, 875, 578.
ქვემოთ ჩამოთვლილ რომელ პასუხშია ეს რიცხვები დალაგებული კლების მიხედვით?

ა) 675, 765, 875, 578
ბ) 765, 675, 875, 578
გ) 875, 765, 675, 578
დ) 578, 675, 765, 875.

7. ოთოს მამა თონეში მუშაობს პურის მცხობელად. მან ერთ დღეს 456 პური გამოაცხო, მეორე დღეს – 465, ხოლო მესამე დღეს – 564 პური.

დაამრგვალეთ ეს რიცხვები ათეულებამდე და დაალაგეთ ზრდის მიხედვით.

§2.1. ათასზე მეტი რიცხვების წაკითხვა და ჩაწერა

1. ფეხბურთელების საგულშემატკივროდ მაყურებლებმა ორი საათით ადრე დაიწყეს მისვლა. თავიდან 562 მაყურებელი მივიდა, ცოტა ხანში მათი რიცხვი 1 000 გახდა, შემდეგ 2 000 და ა.შ. საბოლოოდ სტადიონზე 27 418 მაყურებელი მივიდა.



რა ჰქვიათ რიცხვებს რომელთაც დათვლისას ვიყენებთ?
რა ციფრებს ვიყენებთ მათ ჩასაწერად?
როგორ იკითხება რიცხვი 562? 1 000? 2 000? 27 418?

რიცხვის ადვილად ჩაწერისა და წაკითხვის მიზნით მას კლასებად, ხოლო კლასებს თანრიგებად ყოფენ.

II კლასი ათასეულების კლასი			I კლასი ერთეულების კლასი		
ასეულ ათასეული	ათეულ ათასეული	ათასეული	ასეული	ათეული	ერთეული

27 418 ასე იკითხება: **ოცდაშვიდი ათას ოთხას თვრამეტი.**

2. რიცხვი 320 518 წარმოადგინეთ სათანრიგო შესაკრებთა ჯამის სახით:

320 518 = 300 000 + ▢ + ▢ + ▢ + ▢ + ▢

ეს რიცხვი ცხრილის სახით ასე შეიძლება გამოვსახოთ:

ასეულ ათასეული	ათეულ ათასეული	ათასეული	ასეული	ათეული	ერთეული
10 000 10 000 10 000	1 000 1 000		100 100 100 100 100	10	1 1 1 1 1 1 1 1
3	2	0	5	1	8

! თუ რიცხვში რომელიმე თანრიგის ერთეული არაა, მის ადგილზე ნული იწერება.

3. განიხილეთ კლასებისა და თანრიგების ცხრილი:

II კლასი ათასეულების კლასი			I კლასი ერთეულების კლასი		
ასეულ ათასეული	ათეულ ათასეული	ათასეული	ასეული	ათეული	ერთეული
			4	1	3
		3	2	0	7
	4	5	5	9	3
	6	0	7	1	9
2	7	4	3	6	5

1. რომელი კლასებია წარმოდგენილი ცხრილში? დაასახელეთ თანრიგები ერთეულების კლასში, ათასეულების კლასში.
2. წაიკითხეთ ცხრილში ჩაწერილი რიცხვები. რას აღნიშნავს თითოეული ციფრი ჩანაწერში?

ნიმუში: მოცემულია რიცხვი 642.
ციფრი 6 დგას ასეულების თანრიგში და მისი მნიშვნელობაა 600.
ციფრი 4 დგას ათეულების თანრიგში და მისი მნიშვნელობაა 40.
ციფრი 2 დგას ერთეულების თანრიგში და მისი მნიშვნელობაა 2.

4. მოცემულია რიცხვი 226 010.
როგორ იკითხება ეს რიცხვი?
ა) ორას ოცდაექვსი ათას ასი
ბ) ორას ოცდაექვსი ათას ათი
გ) ორას ოცდაექვსი ათას ერთი
დ) ორას სამოცი ათას ათი

5. რიცხვის ათეულ ათასეულის თანრიგის ციფრია 4, რა რიცხვია ეს რიცხვი?
ა) 42 586
ბ) 4 250
გ) 456 291
დ) 454

6. მოცემულ რიცხვში 1<u>6</u> ხაზგასმული ციფრის მნიშვნელობაა
ა) 6
ბ) 60
გ) 600
დ) 6 000

7. რომელ რიცხვშია 7 ასეული და კიდევ 21 ერთეული?

ა) 700 021
ბ) 9 021
გ) 921
დ) 721

8. ჩამოწერეს ყველა ოთხნიშნა რიცხვი, რომელთა ჩანაწერი შედგება ციფრებისგან 3 და 0. სულ რამდენი რიცხვი ჩამოუწერიათ?

ა) 30
ბ) 8
გ) 3
დ) 2

9. წაიკითხეთ და ჩაწერეთ რიცხვი

1. რომელიც შედგება 3 ათასეულის, 2 ასეულის, 5 ათეულის და 8 ერთეულისაგან.
2. რომელიც შედგება 9 ათასეულის, 9 ასეულის, 1 ათეულის და 3 ერთეულისაგან.
3. რომელიც შედგება 4 ათასეულის, 7 ასეულის, 8 ერთეულისაგან.
4. რომელიც შედგება 3 ასეულ ათასეულის, 2 ათეულ ათასეულის, 7 ასეულის და 5 ერთეულისაგან.

10. წარმოადგინეთ თანრიგების ჯამის სახით რიცხვები:

4 568	1 234	50 321
25 879	457 862	102 843
18 927	320 817	981 533

11. ჩაწერეთ რიცხვი:

1. ხუთი ათას ექვსას ცამეტი
2. თვრამეტი ათას ოთხას ექვსი
3. ოთხასრვა ათას ჩვიდმეტი
4. ოთხმოცდაათი ათას ხუთას სამი.

12. დაასახელეთ რომელი კლასის რომელი თანრიგის ერთეული არ არის ამ რიცხვებში:

405 232	604 020	300 233
720 300	60 701	803 549
708 111	525 023	840 253

13. რა რიცხვია წარმოდგენილი სათანრიგო შესაკრებთა ჯამის სახით?

4 000 + 900 + 20 + 3	60 000 + 6 000 + 400 + 40 + 4
5 000 + 500 + 1	40 000 + 3 000 + 70 + 7
2 000 + 50 + 9	10 000 + 8 000 + 800 + 3

! ნატურალურ რიცხვთა მწკრივში ყოველი მომდევნო რიცხვი 1-ით მეტია წინაზე და ყოველი წინა რიცხვი 1-ით ნაკლებია მომდევნო რიცხვზე.

14. დაასახელეთ მოცემული რიცხვების წინა და მომდევნო რიცხვები:

2 670	6 756	999
59 999	6 000	567 899

15. დაასახელეთ და ჩაწერეთ მოცემული რიცხვის წინა და მომდევნო ნატურალური რიცხვები:

1. ცხრაას ოთხმოცდაცხრამეტი;
2. შვიდი ათას რვაას სამოცდაცხრამეტი;
3. ორმოცდაცხრამეტი ათას ოთხმოცდაცხრამეტი.

16. დაწერეთ რიცხვები, რომლებიც მოთავსებულია

1. 3 788-სა და 3 793-ს შორის;
2. 4 097-სა და 4 102-ს შორის;
3. 23 298-სა და 23 303-ს შორის.

17. ჩასვით სიტყვები გამოტოვებულ ადგილას ისე, რომ მიიღოთ ჭეშმარიტი წინადადება:

1. მარჯვნიდან პირველ ადგილზე ვწერთ ერთეულებს;
2. მარჯვნიდან ------ ადგილზე ვწერთ ასეულებს;
3. მარჯვნიდან ადგილზე ვწერთ ---------- ათასეულებს;
4. მარჯვნიდან ------ ადგილზე ვწერთ ათეულ ათასეულებს

18. გამოსახეთ მოცემული რიცხვები ნიმუშის მიხედვით:

90 = 9 ათეული	4200 = 42 ასეული	67 000 = 67 ათასეული
260 =	300 =	5 000 =
5 740 =	2 500 =	72 000 =

19. რამდენი სრული ათასეული, ასეული, ათეული და ერთეულია თითოეულ რიცხვში:

8 375	3 217
86 563	48 092
560 126	456 173

ნიმუში:

34 519-ში არის – 34 519 ერთეული
3 451 ათეული
345 ასეული
34 ათასეული

20. დაწერეთ:

1. უდიდესი ოთხნიშნა რიცხვი;
2. უმცირესი ხუთნიშნა რიცხვი;
3. უდიდესი ექვსნიშნა რიცხვი ისე, რომ ციფრები არ გამეორდეს;
4. უმცირესი ექვსნიშნა რიცხვი ისე, რომ ციფრები არ გამეორდეს.

21. ბაიას გარკვეული რაოდენობის ჭიამაია დაბინავებული ჰყავდა, როდესაც სალამურამ ჯერ 145 და შემდეგ 150 გზააბნეული ჭიამაია მოუყვანა. ამის შემდეგ ბაიამ სულ 670 ჭიამაია დათვალა. რამდენი ჭიამაია ჰყავდა დაბინავებული თავდაპირველად ბაიას?

22. ერთ მწკრივში ორ-ორი მეტრით დაშორებული მსხლის 8 ხეა, მეორეში კი თითო მეტრით დაშორებული ვაშლის 15 ნერგი. რომელი მწკრივია უფრო გრძელი?

23. სურათზე მოცემულია სხვადასხვა ფერის ლენტის სიგრძე. რამდენი სანტიმეტრია ყველაზე გრძელი ლენტა?



ა) 9
ბ) 8
გ) 7
დ) 6

24. მაღაზიაში პირველ დღეს გაიყიდა 81 კგ ატამი, მეორე დღეს – 63 კგ. მეორე დღეს გაიყიდა 2 ყუთით ნაკლები, ვიდრე პირველ დღეს. რამდენი ყუთი ატამი გაყიდეს პირველ დღეს?

25. მოცემულია სიტყვები:

ყველა | ერთადერთი | ერთ-ერთი

ჩასვით საჭირო სიტყვები ცარიელ ადგილას:

1. თუ ---------- თანამამრავლი ნულია, მაშინ ნამრავლიც ნულის ტოლია.
2. თუ ---------- შესაკრები ნულია, მაშინ ჯამის მნიშვნელობაც ნულის ტოლია.

§2.2. მრავალნიშნა რიცხვების შედარება



1. ოთარი პაპამ ერთი ვენახიდან 3 785 კგ ყურძენი დაკრიფა, მეორედან 3 845 კგ. რომელი ვენახიდან მიიღო ოთარი პაპამ მეტი მოსავალი?

შევადაროთ რიცხვები 3 785 და 3 845.

3 785 ◯ 3 845

ე.ი. ოთარი პაპას --------- ვენახიდან მეტი მოსავალი მიუღია, ვიდრე ----------.

2. რომელია მეტი?

457 847 ◯ 370 826	425 691 ◯ 424 362
956 732 ◯ 963 657	425 691 ◯ 425 691



რომელ რიცხვს ვასახელებთ თვლისას უფრო ადრე მეტს თუ ნაკლებს?
როგორ არის ეს რიცხვები რიცხვით ღერძზე განლაგებული?

3. შეადარეთ რიცხვები: 21 435 და 5 689.



21 435 ◯ 5 689

ხუთნიშნა ოთხნიშნა

რიცხვი ნული ნებისმიერ ნატურალურ რიცხვზე ნაკლებია.

4. შეადარეთ (<) (>) (=)

999 ◯ 1 000	8 890 ◯ 70 357	465 738 ◯ 36 278
8 876 ◯ 8 875	355 729 ◯ 357 729	678 393 ◯ 763 297

5. ორი რიცხვიდან, რომელშიც თითო ციფრია დაფარული, 84 5▢3 და 83 ▢94

ა) პირველია მეტი
ბ) მეორეა მეტი
გ) ტოლია
დ) შეუძლებელია შედარება.

6. დაალაგეთ ზრდის მიხედვით:
700 030, 70 030, 730, 90 060, 9 060.

7. დაალაგეთ კლების მიხედვით:
43 008, 672 931, 270 999, 450 840.

8. ნამცხვრებისა და ტკბილეულის მაღაზიაში ერთ დღეს 1 560 ლარის, მეორე დღეს 1 895 ლარის გაიყიდა, ხოლო მესამე დღეს 1 980 ლარის სხვადასხვა სახეობის ნამცხვარი გაიყიდა. დაალაგეთ კლების მიხედვით რიცხვითი მონაცემები.

9. დაასახელეთ ყველა ნატურალური რიცხვი, რომელიც:
1. 2 994-ზე მეტია და ნაკლებია 3 012-ზე;
2. 100 998-ზე მეტია და ნაკლებია 101 007-ზე.

10. ჩაწერეთ განსხვავებული ციფრებით შედგენილი
1. უდიდესი სამნიშნა რიცხვი;
2. უმცირესი ოთხნიშნა რიცხვი;
3. უდიდესი ხუთნიშნა რიცხვი;
4. უმცირესი ექვსნიშნა რიცხვი.

11. დაწერეთ ყველა რიცხვი, რომელიც 3 612-ზე დიდია და იმავე ციფრებითაა ჩაწერილი. დაალაგეთ ზრდის მიხედვით მიღებული რიცხვები.

12. რა ციფრი უნდა ჩავწეროთ ✶-ის ნაცვლად, რომ უტოლობა სწორი იყოს?

1 43✶ >1 438	5 678>5 67✶
43 281<43 28✶	95 377<95 37✶

13. ჭეშმარიტია თუ არა გამონათქვამი?

1. ნებისმიერი ნატურალური რიცხვი მეტია ნულზე;
2. 2 758 ნაკლებია 2 768-ზე;
3. ოთხი ათეული არ არის ორმოცი.

14. გამოიყენეთ ყველა ციფრი თითოჯერ და იპოვეთ უდიდესი და უმცირესი რიცხვები: 7, 9, 4, 3, 5.

15. ქეთიმ თქვა, რომ 36 594 არის 5 980-ზე ნაკლები, რადგან 3 ნაკლებია 5-ზე. ახსენით, რა შეცდომა დაუშვა ქეთიმ?

16. გამოიანგარიშეთ გამოსახულებათა მნიშვნელობები და შეადარეთ:

566 – 78 ◯ 527 – 38 736 – 30 • 2 ◯ 10 • 68

268 + 42 ◯ 714 – 340 400 + 185 ◯ 600 – 25

17. მასწავლებელმა საშინაო დავალება დაფაზე დაწერა. გაკვეთილის დამთავრებისთანავე ნანიკომ დაფაზე რამდენიმე ციფრი წაშალა და მათ ნაცვლად ფიფქები დახატა. ტასომ, რომელმაც ვერ მოასწრო დავალების ჩაწერა, მაინც შეძლო სწორად ჩაესვა შესაბამის ადგილას უტოლობის ნიშნები. სცადეთ თქვენც.



18. მარიმ 85 მ გაირბინა, რაც 15 მ-ით ნაკლებია დარჩენილ მანძილზე. კიდევ რამდენი მეტრი უნდა გაირბინოს მარიმ?

19. რომელი ნიშნის მიხედვით შეიძლება ფიგურების დაჯგუფება?



20. იპოვეთ კანონზომიერება და ჩასვით გამოტოვებული რიცხვები:

1. 6 500, 6 501, ■, ■, ■, 6 505, ■, ■.
2. 32 707,32 607, ■, ■, 32 307, 32 306, ■, ■.

21. სათამაშო „კონსტრუქტორი“ 130 დეტალისგან შედგება.
ზურამ 28 დეტალისგან სატვირთო მანქანა ააწყო, ხოლო 16 დეტალისგან ურიკა.

1. ახსენით, რისი პოვნა შეგვიძლია შემდეგი გამოსახულებებით

28 – 16 130 – 28 28 + 16

2. იპოვეთ რამდენი დეტალი არ გამოიყენა ზურამ ასაწყობად?

22. 4 მ ქსოვილი 20 ლარი ღირს. რა ღირს 10 მ ასეთივე ქსოვილი?

23. თამარს აქვს აკვარელით შესრულებული 32 ნახატი. მან გადაწყვიტა, რომ საგამოფენო დარბაზის ოთხივე კედელზე თანაბარი რაოდენობით დაკიდოს ნახატები. რამდენი ნახატი უნდა დაკიდოს თამარმა თითო კედელზე?

24. ორ კლასში ერთად 40 მოსწავლე იყო. როცა ერთი კლასიდან მეორეში 5 მოსწავლე გადაიყვანეს, ორივე კლასში მოსწავლეების ტოლი რაოდენობა აღმოჩნდა. რამდენი მოსწავლე ყოფილა თითოეულ კლასში თავდაპირველად?

25. იპოვეთ უცნობი რიცხვი თუ:

1. უცნობი რიცხვი 32-ით მეტია 65-ზე.
2. 18 ნაკლებია უცნობ რიცხვზე 34-ით.

26. ანანოს 18 ფანქარი აქვს, ლიზის ■. დაასრულეთ ამოცანა. დასვით კითხვა ისე, რომ ამოცანა ამოიხსნას

1. შეკრებით.
2. გამოკლებით.
3. გაყოფით.

27. დახაზეთ ABCD მართკუთხედი.

1. დაასახელეთ მართკუთხედის მოპირდაპირე გვერდები, მოპირდაპირე წვეროები.
2. დაასახელეთ მართკუთხედის მეზობელი გვერდები.
3. დაასახელეთ ერთ გვერდთან მდებარე წვეროები.

28. მუშები მთელი ღამის განმავლობაში მუშაობდნენ, რომ ქალაქის წყლის მომარაგება არ შეფერხებულიყო. მათ საათში 10 მ სიგრძის თხრილის გათხრა შეეძლოთ. ერთი თხრილის გათხრას 4 საათი დასჭირდა, მეორისას – 6 სთ. სულ რამდენი მეტრი სიგრძის თხრილი გათხარეს მუშებმა?

§2.3. მრავალნიშნა რიცხვების დამრგვალება

1. საინფორმაციო გადაცემაში ჟურნალისტმა პირდაპირი ჩართვისას გადმოსცა, რომ ზაფხულის ჯაზფესტივალს, სადაც თავისუფალი დასწრებაა, დაახლოებით 4 500-მდე მსმენელი ესწრება.

რატომ თქვა ჟურნალისტმა დაახლოებით? შესაძლოა თუ არა მსმენელთა რაოდენობა ყოფილიყო 4 500-ზე ოდნავ მეტი ან ოდნავ ნაკლები?

ხშირია შემთხვევა, როცა ზუსტი რაოდენობის დადგენა შეუძლებელია, ამიტომ გამოთვლა ხდება მიახლოებით ანუ რიცხვების დამრგვალებით. როცა რიცხვს მითითებულ თანრიგამდე ვამრგვალებთ, ვეძებთ მრგვალ რიცხვს, რომელიც რაც შეიძლება ახლოს არის საწყის რიცხვთან.

2. დაამრგვალეთ რიცხვი 1 458 უახლოეს ათეულამდე.



1 458 მდებარეობს 1 450-სა და 1 460-ს შორის.
1 458 მდებარეობს ----------თან უფრო ახლოს, ვიდრე ----------თან.
1 458-ის უახლოესი ათეულია ----------.

3. დავამრგვალოთ იგივე რიცხვი 1 458 უახლოეს ასეულამდე.



1 458 მდებარეობს 1 400-სა და 1 500-ს შორის.
1 458 უფრო ახლოს მდებარეობს ---------თან, ვიდრე ---------თან, რადგან ის ------ 1 400-სა და 1 500-ს შორის მდებარე შუა რიცხვზე.
1 458-ის უახლოესი ასეულია ----------

რიცხვის დამრგვალებისას რომელიმე თანრიგამდე, ნულით ვცვლით მის მომდევნო ყველა ციფრს; თუ ამ თანრიგის მომდევნო პირველი ციფრია 5, 6, 7, 8, 9 მაშინ ბოლო დარჩენილ ციფრს ერთით ვადიდებთ; თუ ამ თანრიგის მომდევნო პირველი ციფრია 0, 1, 2, 3, 4 მაშინ ბოლო დარჩენილ ციფრს უცვლელად ვტოვებთ.

4. რიცხვი 927 345 დაამრგვალეთ ათეულ ათასეულებამდე.
რა ციფრებით შეიცვლება მითითებული თანრიგის მარჯვნივ ჩაწერილი ციფრები?
შეიცვლება თუ არა მითითებული თანრიგის ციფრი და რატომ?

5. დაასახელეთ:

1. 4 568-ის უახლოესი ათეული;
2. 645-ის უახლოესი ასეული;
3. 12 587-ის უახლოესი ათასეული.

6. დაამრგვალეთ

1. ათეულებამდე: 451; 768, 2 087, 21 476;
2. ასეულებამდე: 432, 687, 4 568, 472 045;
3. ათასეულებამდე: 2 130, 87 654, 8 593, 156 987;
4. ათეულ ათასეულებამდე: 398 418, 751 589, 324 695;
5. ასეულ ათასეულებამდე: 463 856; 393 572, 185 903.

7. დაამრგვალეთ უმაღლეს თანრიგამდე რიცხვები:

974	9 801	56 708
27 573	458 231	347 126
32 689	243 100	991 212

8. მოლარემ ერთ დღეს 723 789 ლარი გასცა, მორე დღეს – 709 167. მონაცემები დაამრგვალეთ ათეულ ათასეულებამდე და შეადარეთ.

9. საკონსერვო ქარხანამ ორშაბათს თევზის 2 174 ცალი კონსერვი გამოუშვა, სამშაბათს – 3 520 ცალი კონსერვი. დაამრგვალეთ ეს მონაცემები უმაღლეს თანრიგამდე და შეადარეთ.

10. ფიფქის ნაცვლად ერთ-ერთი ისეთი ციფრი ჩაწერეთ, რომ დამრგვალება სწორად იყოს შესრულებული:

4 68✶ ≈ 4 680	67 03✶ ≈ 67 040
27 ✶89 ≈ 27 000	✶5 167 ≈ 80 000

≈ მიახლოებითი ტოლობის ნიშანი

11. რომელია არასწორი უტოლობა? (✶-ებით დაფარულია ციფრები)
ა) 10 0✶✶ > 9 99✶
ბ) 532 ✶✶✶ > 489 ✶✶✶
გ) 890 5✶✶ < 890 6✶✶
დ) 481 0✶✶ < 480 9✶✶

12. შეადგინეთ ამოცანები შემდეგი გამოსახულების მიხედვით:

1. 163 + 205
2. 28 : 7

13. ანასტასია მეოთხე კლასში სწავლობს. მას 5 წუთი სჭირდება სახლიდან გაჩერებამდე მისასვლელად და 35 წუთი ავტობუსით მგზავრობისთვის სკოლამდე. დასვით სამი სხვადასხვა კითხვა ისე, რომ

1. პირველი კითხვის პასუხი მოითხოვდეს გაყოფას.
2. მეორე კითხვის პასუხი მოითხოვდეს შეკრებას.
3. მესამე კითხვის პასუხი მოითხოვდეს გამოკლებას.

14. დახაზეთ კვადრატი, რომლის გვერდების სიგრძეთა ჯამია 16 სმ.

15. ყოველ დილით ნინო მამას მიჰყავს სკოლაში, რის შემდეგაც სამსახურში მიდის.



რამდენ მეტრს გადის ნინოს მამა ყოველ დილით სახლიდან სამსახურამდე?

16. დააკვირდით მიმდევრობას.

რა თანმიმდევრობით არის მოცემული მიმდევრობის წევრები?

ა)

ბ)

გ)

დ)

17. ჩაწერეთ ყველა შესაძლო სამნიშნა რიცხვი ციფრებით: 5, 8, 9 ისე რომ ჩანაწერში ციფრები არ გაიმეოროთ და დაალაგეთ ეს რიცხვები კლების მიხედვით.

18. ერთი ხიდან 50 კგ მანდარინი მოკრიფეს, მეორედან – 40 კგ. რამდენი ყუთი იქნება საჭირო ამ მანდარინის ჩასაწყობად, თუ თითოეულ ყუთში 10 კგ მანდარინი ეტევა?

19. სამი რიცხვის ჯამია 854. პირველი შესაკრებია 300, მეორე 170-ით მეტია პირველზე. იპოვეთ მესამე შესაკრები.

20. ჭეშმარიტია თუ არა?

22 < 53 – 38	76 < 92 – 16	36 + 27 < 29
17 + 29 > 45	23 > 99 – 77	87 – 36 > 50
98 – 59 > 40	83 < 35 + 57	51 – 13 > 60

21. ერთი კილოგრამი შოკოლადი 8 ლარი ღირს. რამდენი ლარით ნაკლები ღირს 5 კგ შოკოლადი 9 კგ შოკოლადზე?

22. დაალაგეთ მიღებული შედეგები ზრდადობის მიხედვით და გამოიცანით საქართველოს რომელი რაიონია დაშიფრული.

ნ	115 + 285	ხ	417 – 367	ე	600 – 125
ე	503 – 314	ლ	398 + 87	ტ	316 – 73
		ი	468 – 459		



§2.4. გამეორება

1. ჩაწერეთ სიტყვიერად რიცხვები:

4 387 23 561
1 011 146 718

2. დაწერეთ რიცხვი, რომელიც შეიცავს:

1. 3 ათასეულს, 2 ასეულს, 6 ათეულს და 7 ერთეულს.
2. 6 ასეულ ათასეულს, 2 ათასეულს, 6 ასეულს და 4 ათეულს.

3. დაწერეთ ციფრებით:

1. ოცდასამი ათას ექვსას რვა.
2. ხუთასჩვიდმეტი ათას ორმოცდაცხრა.
3. რვაასი ათას ცხრა.

4. რიცხვის ასეულის თანრიგის ციფრია 5, ხოლო ერთეულის თანრიგის ციფრი არის 7. რა რიცხვი შეიძლება იყოს ეს?

ა) 1 507
ბ) 1 570
გ) 1 705
დ) 1 750

5. მოცემულია რიცხვი სამი ათას ცხრაას ოცდაჩვიდმეტის ციფრული ჩანაწერი. ამ ჩანაწერში ერთეულების თანრიგში მდგომი ციფრია

ა) 9
ბ) 7
გ) 17
დ) 37

6. რომელია მეტი
5 216 თუ 4 264?
5 216 თუ 6 264?

7. რომელია ნაკლები
3 435 თუ 3 453?
4 435 თუ 3 453?

8. ჩაწერეთ უდიდესი ოთხნიშნა რიცხვი, რომელიც შედგება ციფრებისგან 6, 9, 0, 5.

9. ჩაწერეთ უმცირესი ოთხნიშნა რიცხვი, რომელიც შედგება ციფრებისგან 7, 2, 5, 3.

10. შეადარეთ < > =

2 212 ◯ 2 600
524 116 ◯ 61 090
641 553 ◯ 497 990
88 304 ◯ 88 304
751 272 ◯ 851 001
41 359 ◯ 311 500

11. დაალაგეთ ზრდის მიხედვით:

1 41 090, 41 190, 40 009

2 63 803, 65 014, 6 409

12. დაალაგეთ კლების მიხედვით:

1 440 000, 439 064, 436 783

2 910 763, 912 005, 95 408

13. მოცემულია რიცხვი 3 ✶30, რომელიც 3 408-ზე მეტია და 3 540-ზე ნაკლები. რა ციფრი შეიძლება იყოს ფიფქით დაფარული? განიხილეთ ყველა შემთხვევა.

14. მოცემულია რიცხვი 5✶ 790, რომელიც 50 120-ზე მეტია და 52 780-ზე ნაკლები. რა ციფრი შეიძლება იყოს ფიფქით დაფარული? განიხილეთ ყველა შემთხვევა.

15. ცხრილში მოცემულია პრომეთესა და სათაფლიის მღვიმეში ვიზიტიორ ტურისტთა რაოდენობა თვეების მიხედვით.
დაამრგვალეთ მონაცემები ასეულებამდე და დაალაგეთ კლების მიხედვით.

კვირის დღეები	ნავაჭრი თანხა ლარებში
ივნისი	12 050
ივლისი	23 410
აგვისტო	23 860
სექტემბერი	12 530

16. დაამრგვალეთ ხაზგასმული ციფრის თანრიგამდე

934 <u>5</u>67	23<u>4</u> 890	1<u>9</u>9 814
<u>6</u>41 267	3<u>4</u>7 456	92<u>3</u> 718
56<u>2</u> 408	284 <u>7</u>92	762 1<u>4</u>6

17. მეთევზეებმა 23 250 კგ თევზი დაიჭირეს. დაამრგვალეთ თევზების რაოდენობა უახლოეს ათასეულებამდე.

18. შეადარეთ < > =

41 • 19 ◯ 72 • 19

37 • 17 ◯ 17 • 29

5 • 56 ◯ 5 • 51

58 • 26 ◯ 40 • 15

19. ნანიკომ ვაშლი ორ კალათში გადაანაწილა. შემდეგ პირველი კალათიდან 17 ვაშლი ამოიღო და მეორე კალათში 19 ჩაამატა, ამის შემდეგ ორივე კალათში 105 ვაშლი იყო. რამდენი ვაშლი იყო ორივე კალათში თავდაპირველად?

20. გადახაზეთ ცხრილი რვეულში და შეავსეთ:

	4	6	8	10
გაადიდეთ 3-ჯერ				
გაადიდეთ 20-ით				
შეამცირეთ 2-ით				

21. ხუთი სამიანითა და “+” ნიშნის რამდენჯერმე გამოყენებით დაწერეთ გამოსახულება, რომლის მნიშვნელობა 42-ის ტოლია.

22. რამდენი წვერო აქვს ოთხკუთხა პირამიდას?

ა) 4
ბ) 5
გ) 6
დ) 8

23. ავტომობილის მრიცხველმა 46 720 კმ აჩვენა. დაამრგვალეთ მრიცხველის ჩვენება ათეულ ათასეულამდე.

24. მოცემულია რიცხვი 279 534. გადახაზეთ 2 ციფრი ისე რომ მიიღოთ შესაძლო უდიდესი რიცხვი.

25. ნატომ და დათომ ფული თანაბრად გაიყვეს. ნატოს სულ ოცლარიანი კუპიურები ჰქონდა, დათოს – 10 ლარიანი. ვის უფრო მეტი რაოდენობის კუპიურა ჰქონდა? რამდენჯერ?

26. შეასრულეთ შეკრება.

$$\begin{array}{r} 438 \\ +\ 137 \\ \hline \end{array} \qquad \begin{array}{r} 849 \\ +\ 724 \\ \hline \end{array} \qquad \begin{array}{r} 217 \\ +\ 609 \\ \hline \end{array} \qquad \begin{array}{r} 417 \\ +\ 358 \\ \hline \end{array}$$

27. ორ საწარმოში 350 მუშა იყო. როცა ერთ საწარმოში კიდევ 50 მუშა მიიღეს, ორივეში მუშათა რაოდენობა გათანაბრდა. რამდენი მუშა ყოფილა თითოეულ საწარმოში თავდაპირველად?

28. უჯრებში ჩასვით რიცხვები 4, 6, 7, 9, 10, 11, 12 ისე, რომ სტრიქონში, სვეტში და დიაგონალზე რიცხვთა ჯამი იყოს 24.

5		
	8	

ტესტი

1. ჩაწერეთ გაშლილი სახით 751 059.

ა) 700 000 + 50 000 + 1 000 + 50 + 9
ბ) 70 000 + 50 000 + 100 + 50 + 9
გ) 70 000 + 5 000 + 1 000 + 50 + 9
დ) 700 000 + 5 000 + 100 + 50 + 9

2. დაწერეთ ხაზგასმული ციფრის მნიშვნელობა 4<u>5</u>6 803.

ა) 50
ბ) 500
გ) 5 000
დ) 50 000

3. ჩაწერეთ ციფრებით: ოთხას ათი ათას რვაასი.

ა) 400 800
ბ) 410 800
გ) 401 080
დ) 400 108

4. ქუთაისის მოსახლეობა 2010 წელს დაახლოებით ას ოთხმოცდათორმეტი ათას ხუთასს შეადგენდა. ჩაწერეთ ეს მონაცემი ციფრებით.

ა) 192 000
ბ) 192 500
გ) 195 200
დ) 129 500

5. 5 ათასეული, 4 ათეული და 7 ერთეული არის:

ა) 547
ბ) 5 470
გ) 5 047
დ) 5 407

6. რამდენი ასეულია რიცხვში 8 650?

ა) 600
ბ) 65
გ) 6
დ) 60

7. ჩაწერეთ რიცხვი, რომელიც შეიცავს 2 ათეულ ათასეულს, 7 ათასეულს, 4 ასეულსა და 9 ერთეულს.

8. რიცხვში 4 572 ციფრი 5 აღნიშნავს ———————— რაოდენობას.

ა) ათასეულის
ბ) ათეულის
გ) ასეულის
დ) ერთეულის

9. შეადარეთ < > =

8 411 ◯ 8 099 479 596 ◯ 498 127 641 267 ◯ 77 456

10. რა რიცხვია 7 984-ის უახლოესი ათასეული?

ა) 7 000
ბ) 8 000
გ) 7 900
დ) 7 800

11. დაამრგვალეთ ხაზგასმული ციფრის თანრიგამდე

5 <u>1</u>25 3<u>8</u> 406 <u>4</u>56 218

12. დაასახელეთ 999 999-ის წინა და მომდევნო რიცხვები.

13. ჩაწერეთ რიცხვები 7 028, 7 802, 7 208, 7 082 ზრდის მიხედვით.

ა) 7 802, 7 208, 7 028, 7 082
ბ) 7 028, 7 802, 7 208, 7 082
გ) 7 802, 7 028, 7 208, 7 082
დ) 7 028, 7 082, 7 208, 7 802

14. 6✶8 543-ის ათასეულებამდე დამრგვალებით მიიღეს 629 000. რა ციფრი შეიძლება იყოს ✶-ის ნაცვლად?

ა) 5-ზე ნაკლები ნებისმიერი ციფრი
ბ) 5-ზე მეტი ნებისმიერი ციფრი
გ) ნებისმიერი ციფრი
დ) მხოლოდ 2

15. 640 000 მიიღება

ა) 641 891-ის ათეულ ათასეულებამდე დამრგვალებით
ბ) 645 101-ის ათეულ ათასეულებამდე დამრგვალებით
გ) 645 101-ის ასეულ ათასეულებამდე დამრგვალებით
დ) 641 091-ის ასეულებამდე დამრგვალებით

3 თავი 3. საზომი ერთეულები. გეომეტრია

სადიაგნოსტიკო ტესტი

1. გაბრიელმა დახატა ფიგურა, რომლსაც აქვს სამი წვერო და სამი გვერდი. რა ფიგურა დახატა გაბრიელმა?



2. იპოვეთ ფანქრის სიგრძე.





3. რომელი შეიძლება იყოს სწორი გამონათქვამი:

ა) წიგნი იწონის 15 კგ-ს.
ბ) ბეღურა და შიმპანზე ერთად 8 გრამს იწონის.
გ) სანდრო იწონის 62 კგ-ს.
დ) ფანქარი 1 კგ-ს იწონის.

4. ნიკა, ალეკო, ნანა და ბაია მეგობრები არიან. ნიკას სიმაღლეა 157 სმ, ალეკოსი – 162 სმ, ნანიკოსი – 154 სმ, ხოლო ბაისი კი – 150 სმ.



1. ჩაწერეთ რიცხვითი მონაცემები ზრდის მიხედვით.
2. რამდენი სანტიმეტრია სიმაღლეთა სხვაობა ყველაზე მაღალსა და ყველაზე დაბალ ბავშვს შორის?

5. დახაზეთ სამკუთხედი და გაავლეთ წრფე ისე რომ, თუ ეს შესაძლებელია, სამკუთხედი დაიყოს

1. ორ სამკუთხედად;
2. სამკუთხედად და ოთხკუთხედად
3. სამკუთხედად და ხუთკუთხედად.

6. დაასახელეთ B წვეროდან გამომავალი წიბოები.